# საარჩევნო კამპანიის ფერხულში

**სპორტსმენები — მოწინავე აგიტატორები**

**აბარებენ მშდ-ს ნორმატივებს**

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში თავდადებული შრომაა გაჩაღებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნების ღირსეულად შესახვედრად. ამ შრომითს ფერხულში გამოირჩევიან რაიონის ფიზკულტურელები და სპორტსმენები. ისინი ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძვიან ხუთწლედის განმსაზღვრელ წელს მაღალი მაჩვენებლების მოსაპოვებლად. ყველა მათგანზე საუბარი შორს წაგვიყვანდა. ამიტომ გადავწყვიტეთ ამჟამად მხოლოდ რჩეულთა შორის რჩეულებს, უფრო სწორად, იმ ახალგაზრდებს გავცნობოდით, რომლებსაც საპატიო მოვალეობა — არჩევნების წინ მასებში სააგიტაციო მუშაობა დაეკისრათ.

სოფელ შრომის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი, რომელსაც ჩვენ ვეწვიეთ, ერთ-ერთი მოწინავეა რაიონში. ფიზკულტურასა და სპორტს ყურადღებით ეკიდებიან მეურნეობის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია. ამიტომაცაა, რომ სოფელს ჩინებული სპორტული ბაზებიც აქვს. ეს ბაზები ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი და სპორტულ-მასობრივი მუშაობის ნამდვილი კერაა. მარტო შარშან ამ კოლექტივში ერთი სსრ კავშირის სპორტის ოსტატი და რვა პირველთანრიგოსანი მომზადდა.

მასპინძლებს გაუჭირდათ მოწინავე აგიტატორთაგან რომელიმეს გამოყოფა. მართლაც, რომელი ერთი უნდა დაასახელო! აი, მაგალითად, გ. დანელიშვილი. მევენახეთა ბრიგადირსა და რაიონული საბჭოს დეპუტატს საქმეს რა გამოულევს, მაგრამ მას კარგად ესმის სპორტთან მეგობრობის ძალა. იგი თვითონ აძლევს სხვებს მაგალითს, ფრენბურთელთა და ფეხბურთელთა ნაკრები გუნდების წევრია.

ფიზიკური კულტურის დაუცხრომელი პროპაგანდისტები არიან, აგრეთვე, სასოფლო საბჭოს დეპუტატები, მოწინავე სპორტსმენები, მევენახე აგრონომი ვ. ბენიძე და ავტოგარაჟის დისპეტჩერი მ. ნატროშვილი, მუშები მ. ჯავახიშვილი და ა. ჩეკურიშვილი კი ბავშვთა სპორტულ სექციებსაც უძღვებიან საზოგადოებრივ საწყისებზე. როგორც აგიტატორებს, ახლა მათ ბევრი საზრუნავი აქვთ. უფრო შინაარსიანი გახდა საქმიანობაც. ამომრჩევლებთან საუბარში საბჭოთა საარჩევნო სისტემის, პარტიის XXIV ყრილობის გადაწყვეტილებების, სსრ კავშირის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების განმარტებასთან ერთად აგიტატორები მსმენელთა ყურადღებას ამახვილებენ პარტიისა და მთავრობის ზრუნვაზე ფიზკულტურული და სპორტული მუშაობის შემდგომი აღმავლობისთვის, განმარტავენ მშდ კომპლექსის როლს. საუბრის დროს აგიტატორებს კონკრეტული მაგალითები მოჰყავთ მათივე რაიონისა და სოფლის ცხოვრებიდან.

მეურნეობის ადმინისტრაციული შენობის ფოიეში, სადაც საარჩევნო უბანი და აგიტპუნქტია მოთავსებული, ვნახეთ არჩევნებიდან არჩევნებამდე შრომასა და კულტურულ ცხოვრებაში მოპოვებული წარმატებების ამსახველი სტენდები. მშობლიური სოფლის გარდაქმნის ამ თვალსაჩინო დოკუმენტებს შორის ჯეროვანი ადგილი უკავია ფიზკულტურის კოლექტივების მატიანეს. მრავალრიცხოვანი დიპლომები და სიგელები, თასები, ვიმპელები თუ პრიზები თანმიმდევრულად ასახავენ კოლექტივის [illegible] მრჩევლები მეურნეობის სპორტული ცხოვრების ბევრ ამაღელვებელ ეპიზოდს იხსენებენ. ამ სტენდებთან ისინი განსაკუთრებული სიამაყით ლაპარაკობენ ფეხბურთელთა გუნდ „ვაზზე", რომელმაც 1972 წელს I ადგილი დაიკავა მეორე ჯგუფის I ზონის კოლექტივთა რესპუბლიკურ შეჯიბრებაში. შარშან ფეხბურთელებმა „ოქროს თავთავის" რაიონული თასიც მოიგეს და, რაც მთავარია, სამუდამოდ.

მეურნეობის ფიზკულტურის მეთოდისტმა, სპორტის ოსტატმა სამბოში ო. გოჩიაშვილმა იმ დღეს მეურნეობის დირექციაში რამდენიმე წუთით შემოირბინა.

— შრომის ცხარე დღეებია და გვიჭირს ფიზკულტურის საბჭოს წევრების თავმოყრა. ამიტომ ჩემი ჩანაფიქრი მათ სამუშაო უბანზე მინდა გავაცნო, — გვეუბნება ომარი და არჩევნებისადმი მიძღვნილი მასობრივ-სპორტული ღონისძიებების ახალ გეგმას გვთავაზობს.

იქვე გავეცანით მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების მდგომარეობას, ხუთ სახეობაში ადგილობრივ საშუალო სკოლასთან ამხანაგური შეჯიბრების შედეგებს. მრავალფეროვანი ღონისძიებები იყო დაგეგმილი: პირველ ორ კვირაში — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისადმი მიძღვნილი შეჯიბრებები, მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩაბარება (მძლეოსნური სახეობები, ღერძზე მიზიდვა) „შრომისგან მოუწყვეტლივ", უშუალოდ შესვენებების დროს სამუშაო უბნებზე და ბრიგადებში. გარდა ამისა, ივნისში ნორმატივების ჩაბარების გრაფიკს დაემატა ცურვა — ალაზანმშენის წყალსაცავზე.

არჩევნების დღეს გამართულ სახალხო ზეიმზე ამომრჩევლებს თავიანთ ოსტატობას უჩვენებენ მეურნეობის საუკეთესო სპორტსმენები, სოფლის სტადიონზე მოეწყობა შეჯიბრება მშდ კომპლექსის ნორმატივების მასობრივად ჩასაბარებლად...

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებისთვის მზადების კამპანიამ მეურნეობის ფიზკულტურულ კოლექტივს ბევრი კარგი ღონისძიების იდეა უკარნახა. ეს ღონისძიებები წარუშლელ კვალს დატოვებს მეურნეობის ფიზკულტურული კოლექტივის ცხოვრებაში.

**თ. გაჩეჩილაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

სოფ. შრომა,
გურჯაანის რაიონი.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 116 (5146)

1974 წ. 13 ივნისი, ხუთშაბათი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

საქართველოს მოსწავლეთა სპარტაკიადა

# დიდი სარბიელის მიღმა




ტყვიის მსროლელები სოხუმის მახლობლად, ეშერის სასროლეთზე ასპარეზობდნენ. ცეცხლის ხაზზე გამოვიდნენ აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, ქუთაისის, გორის, ფოთისა და რუსთავის სპორტსმენები, რომლებსაც სულ 6 ვარჯიში ჰქონდათ შესასრულებელი.

მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადის მონაწილე საქართველოს დელეგაციაში ტყვიის მსროლელები არ იქნებიან, საქმე ისაა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებს, მოსკოვსა და ლენინგრადს შეუძლიათ საკავშირო სპარტაკიადის პროგრამის რამდენიმე სახეობაში (ამორჩევით) გუნდები არ გამოიყვანონ, საქართველოს განათლების სამინისტროს შესაბამის განყოფილებაში სწორედ ტყვიის სროლაზე თქვეს უარი.

ამის მიუხედავად, რესპუბლიკურმა ტურნირმა მაინც დიდი ინტერესი გამოიწვია და არც მაჩვენებლები იყო ურიგო. განსაკუთრებით კარგი შედეგები მოიპოვეს პისტოლეტის მსროლელებმა. შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სროლაში აფხაზეთის გუნდმა (სპორტის ოსტატობის კანდიდატი ს. კალიში, პირველთანრიგოსნები ვ. ჭანტურიძე და გ. გაგუა) 1719 ქულა მოაგროვა, რაც 10 ქულით სჯობს საქართველოს განათლების სამინისტროს ნაკრების მიერ 1965 წელს დამყარებულ მოზარდთა რესპუბლიკურ რეკორდს.

ამავე ტრიომ თავი გამოიჩინა მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სილუეტებზე სროლაშიც — შარშანწინ ქუთაისელთა მიერ დამყარებული მოზარდთა რესპუბლიკური რეკორდი (1720 ქულა) გაიმეორა.

სპორტსმენებმა პირად პირველობაში ყველაზე მაღალი შედეგები სწორედ მცირეკალიბრიანი პისტოლეტის სილუეტებზე სროლაში მოიპოვეს. სპორტის ოსტატობის კანდიდატმა, თბილისის 72-ე სკოლის მეათეკლასელმა გ. კუსეინოვმა 581 ქულა მოაგროვა და ქულით აჯობა სპორტის ოსტატობის კანდიდატს, ქუთაისის რკინიგზის მე-12 სკოლის IX კლასის მოსწავლეს ლ. გეგეშიძეს. III ადგილზეა სოხუმის მე-14 სკოლის მეათეკლასელი ვ. ჭანტურიძე — 577. სამივემ სპორტის ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა, მათგან ჭანტურიძემ — პირველად.

მცირეკალიბრიანი შაშხანის სროლაში ქაბუკებს ქალიშვილებმა აჯობეს. სტანდარტზე (3×20) შეჯიბრებაში თბილისის 78-ე სკოლის მეცხრეკლასელმა ელენა ლიაშენკომ 558 ქულა მოაგროვა. II ადგილზეა ქუთაისის რკინიგზის მე-12 სკოლის X კლასის მოსწავლე ლიანა ენუქიძე — 551, რომელსაც თანაქალაქელი მეორეთანრიგოსანი ლ. აბზიანიძე (1-ლი სკოლის VIII კლასი) ქულით ჩამორჩა. მაგრამ, ვფიქრობთ, ამ ქაბუკს გული მაინც არ დასწყდება, ვინაიდან შინ პირველთანრიგოსანი დაბრუნდა.

დაბალი იყო პნევმატური პისტოლეტის მსროლელთა შედეგები: ვერც ერთმა მონაწილემ სათანრიგო მოთხოვნა ვერ შეასრულა.

**რ. მაღრაძე.**

სოხუმი.

* * *

**სხვა ტექნიკური შედეგები**

მცირეკალიბრიანი შაშხანა. წოლელა 60 გასროლა. ე. ლიაშენკო — 589, ლ. ჩაჩუა — 582, ა. არუთინოვი — 581. **მცირეკალიბრიანი პისტოლეტი. შავ სამიზნეებზე სროლა.** ო. სვანიძე (ყველა — თბილისი) — 266, ს. კალიში — 264, ვ. ჭანტურიძე (ორივე — აფხაზეთი) — 264. **შავ სამიზნეებსა და სილუეტებზე სროლა.** კალიში — 581, ჭანტურიძე — 572, სვანიძე — 572. **პნევმატური პისტოლეტი.** პ. ჩაჩანიძე (თბილისი) — 354, ვ. ბუტნევი (აფხაზეთი) — 351, ჩაჩუა — 341.

**გუნდური შედეგები:** თბილისი — 8579 ქულა, აფხაზეთი — 8529, ქუთაისი — 8293, აჭარა — 8139, გორი — 6458, სამხრეთ ოსეთი — 5017, ფოთი — 3366, რუსთავი — 2411.

# კარგად დაისვენეს



ღამემ „ეკვატორს" გადაბიჯა. „კარვების ქალაქი" დადუმდა. დაღლილ-დაქანცულმა ტურისტებმა საძილე ტომრებს მიაშურეს, რომ გათენდებოდა თუ არა, სარბიელზე გამოსულიყვნენ.

მეორე დღეს დაბა კიკეთში თბილისის საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის საწარმოთა კოლექტივებმა მშდ კომპლექსის მრავალჭიდში ნორმატივების ჩაბარება დაიწყეს.

ღერძზე მიზიდვაში, აძალვაში, ბირთვის კვრაში, ხელყუმბარის ტყორცნაში, 3 და 6 კმ-ზე მარშგარბენსა და ტურისტულ ლაშქრობაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა სპორტკლუბების — „ფეიქრისა" და „ისნის", თბილისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების, ჟაკარდული ქსოვილების ფაბრიკის, წინდების ფაბრიკისა და ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის 285 წარმომადგენელი. მათგან მშდ კომპლექსის ნორმატივები 175 კაცმა ჩააბარა.

დღის ბოლოს ტყის მილიკზე ერთ ჯგუფად მიაბიჯებდნენ კმაყოფილი და გამხნევებული ფიზკულტურელები.

**ჯ. კასრაძე.**

• • •

**სურათებზე:** ს. ორჯონიკიძის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის წარმომადგენლები ლაშქრობისას; ა. მახარაშვილი (წინდების ფაბრიკა) ბირთვის კვრის დროს.

ავტორის ფოტოები.



# სტუმრობა გრძელდება

11 ივნისი ჩვენს დედაქალაქში სტუმრად მყოფმა უცხოელ სპორტულ ჟურნალისტთა ჯგუფმა თბილისის ღირსშესანიშნაობების გაცნობას დაუთმო. სტუმრები გაეცნენ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სპორტულ ცხოვრებას, დაათვალიერეს ბაზები, იყვნენ თბილისის ზღვაზე.

უცხოელი ჟურნალისტები მიიღო თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. რიგვავამ, რომელმაც სტუმრებს გააცნო ჩვენი დედაქალაქის ისტორია, ილაპარაკა თბილისის განვითარების პერსპექტივებზე. დასასრულ ს. რიგვავამ პასუხი გასცა სტუმრებს ბევრ შეკითხვაზე და გადასცა მათ სამახსოვრო საჩუქრები. სტუმრები ესაუბრნენ ჭადრაკში მსოფლიო ჩემპიონ ნ. გაფრინდაშვილსა და მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ფინალური მატჩის მონაწილე ნ. ალექსანდრიას.

გუშინ დილით უცხოელ ჟურნალისტთა ჯგუფი გაემგზავრა ფასანაურში. სტუმრები მოხიბლა საქართველოს სამხედრო გზამ, წარმტაცმა ბუნებამ.

საღამოს სტუმრებს შეხვედრა მოუწყო საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობამ, მერე კი საქართველოს სპორტკომიტეტმა ვახშამი გამართა უცხოელ ჟურნალისტთა პატივსაცემად.




# კალენდარი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

### პირველი ჯგუფი

14 ივნისი (დასავლეთ ბერლინი). ჩილი — გფრ.
14 ივნისი (ჰამბურგი). გდრ — ავსტრალია.
18 ივნისი (დასავლეთ ბერლინი). ჩილი — გდრ.
18 ივნისი (ჰამბურგი). გფრ — ავსტრალია.
22 ივნისი (დასავლეთ ბერლინი). ჩილი — ავსტრალია.
22 ივნისი (ჰამბურგი). გფრ — გდრ.

### მეორე ჯგუფი

13 ივნისი (ფრანკფურტი). იუგოსლავია — ბრაზილია.
14 ივნისი (დორტმუნდი). ზაირი — შოტლანდია.
18 ივნისი (გელზენკირხენი). იუგოსლავია — ზაირი.
18 ივნისი (ფრანკფურტი). ბრაზილია — შოტლანდია.
22 ივნისი (გელზენკირხენი). ბრაზილია — ზაირი.
22 ივნისი (ფრანკფურტი). იუგოსლავია — შოტლანდია.

### მესამე ჯგუფი

15 ივნისი (დიუსელდორფი). შვეცია — ბულგარეთი.
15 ივნისი (ჰანოვერი). ჰოლანდია — ურუგვაი.
19 ივნისი (დორტმუნდი). ჰოლანდია — შვეცია.
19 ივნისი (ჰანოვერი). ურუგვაი — ბულგარეთი.
23 ივნისი (დორტმუნდი). ჰოლანდია — ბულგარეთი.
23 ივნისი (დიუსელდორფი). ურუგვაი — შვეცია.

### მეოთხე ჯგუფი

15 ივნისი (მიუნჰენი). ჰაიტი — იტალია.
15 ივნისი (შტუტგარტი). პოლონეთი — არგენტინა.
19 ივნისი (მიუნჰენი). ჰაიტი — პოლონეთი.
19 ივნისი (შტუტგარტი). იტალია — არგენტინა.
23 ივნისი (მიუნჰენი). ჰაიტი — არგენტინა.
23 ივნისი (შტუტგარტი). იტალია — პოლონეთი.

ჯგუფებში შეხვედრების დამთავრების შემდეგ ბრძოლა კვლავ წრიული (ქულობრივი) სისტემით გაგრძელდება. ჯგუფებში I-II ადგილებზე გასული 8 გუნდი შექმნის „ა" და „ბ" ჯგუფებს წინასწარ განსაზღვრული განლაგებით.

„ა" ჯგუფში მოხვდებიან პირველ და მესამე ჯგუფებში გამარჯვებულნი, აგრეთვე, მეორე და მეოთხე ჯგუფებში II ადგილებზე გასული გუნდები, ხოლო „ბ" ჯგუფში — პირველ და მესამე ჯგუფებში II ადგილებზე გასული კოლექტივები. აგრეთვე, მეორე და მეოთხე ჯგუფებში გამარჯვებულნი.

„ა" და „ბ" ჯგუფების კალენდარი ასეთია:

### 26 ივნისი

„ა" ჯგუფი: მესამე ჯგუფი, I ადგილი — მეოთხე ჯგუფი, II ადგილი.
მეორე ჯგუფი, II ადგილი — პირველი ჯგუფი, I ადგილი.
„ბ" ჯგუფი: მეორე ჯგუფი, I ადგილი — პირველი ჯგუფი, II ადგილი.
მესამე ჯგუფი, II ადგილი — მეოთხე ჯგუფი, I ადგილი.

### 30 ივნისი

„ა" ჯგუფი: პირველი ჯგუფი, I ადგილი — მესამე ჯგუფი, I ადგილი.
მეოთხე ჯგუფი, II ადგილი — მეორე ჯგუფი, II ადგილი.
„ბ" ჯგუფი: პირველი ჯგუფი, II ადგილი — მესამე ჯგუფი, II ადგილი.
მეოთხე ჯგუფი, I ადგილი — მეორე ჯგუფი, I ადგილი.

### 3 ივლისი

„ა" ჯგუფი: მესამე ჯგუფი, I ადგილი — მეორე ჯგუფი, II ადგილი.
მეოთხე ჯგუფი, II ადგილი — პირველი ჯგუფი, I ადგილი.
„ბ" ჯგუფი: მესამე ჯგუფი, II ადგილი — მეორე ჯგუფი, I ადგილი.
მეოთხე ჯგუფი, I ადგილი — პირველი ჯგუფი, II ადგილი.

6 ივლისს მიუნჰენში „ა" და „ბ" ჯგუფებში II ადგილებზე გასული გუნდები იბრძოლებენ III ადგილისთვის, ხოლო ასევე მიუნჰენში 7 ივლისს მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდებიან „ა" და „ბ" ჯგუფებში I ადგილებზე გასული გუნდები.




## როგორც იქნა, რჩეულთა შორის...

პოლონური ფეხბურთი ბოლო ათწლეულში აღმავლობას განიცდის. თუ 60-ან წლებში პოლონელები დიდ წინააღმდეგობას ვერ უწევდნენ ძლიერ გუნდებს, ახლა ისინი, როგორც იქნა, მოხვდნენ მსოფლიო ფეხბურთის რჩეულთა რიცხვში.

1966 წელს, მას შემდეგ, რაც შესარჩევი თამაშები წარუმატებლად ჩაატარეს, პოლონელები ინგლისში ჩავიდნენ და დამსახურებულ ფრეს (0:0) მიაღწიეს ამ ქვეყნის ნაკრებ გუნდთან (რამდენიმე თვის შემდეგ ინგლისმა მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვა). ამ დროს ფეხბურთელთა ახლანდელი თაობა პირველად უსინჯავდა გემოს უმაღლესი საერთაშორისო დონის ფეხბურთს. პროგრესმა მათ კარგი შედეგებიც მოუტანა: 1971 წელს პოლონელებმა გაანადგურეს საბერძნეთის ნაკრები (7:0) და მხოლოდ დაძაბული ბრძოლის შემდეგ გამოეთიშნენ ევროპის ჩემპიონობისათვის ბრძოლას — წააგეს დასავლეთ გერმანიის ნაკრებთან. დასავლეთგერმანელმა ფეხბურთელებმა მიულერმა, ბეკენბაუერმა და ნეცერმა წარმატებით გააგრძელეს გზა: ჯერ ინგლისელები დაამარცხეს „უემბლიზე", ხოლო რამდენიმე ხნის შემდეგ შესანიშნავი თამაშის წყალობით ევროპის ჩემპიონობაც მოიპოვეს.

ამ დროისთვის პოლონეთის ეროვნულ გუნდს სათავეში ჩაუდგა კაზიმეჟ გურსკი. მწვრთნელად მუშაობის პირველ წელიწადს მან 30-ზე მეტი მოთამაშე გამოსცადა, სანამ ჩამოაყალიბებდა გუნდს, რომელიც ძირითადად ორ მთავარ კლუბზე — „გურნიკზე" და „ლეგიაზე" იყო დაფუძნებული.

ამ დროისთვის ამობრწყინდა ორი ვარსკვლავი — დეინა და ლიუბანსკი, რომლებიც ძალიან დაეხმარნენ თავიანთ გუნდს 1972 წლის ოლიმპიადაში გამარჯვებაში. ფინალში პოლონელებმა დაამარცხეს უნგრელები — 2:1. გამარჯვებულთაგან ორივე გოლი დეინამ გაიტანა და ორივე ლიუბანსკის დახმარებით.

ნათელი შეიქნა, რომ პოლონეთის ნაკრები ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი იყო (შეიძლება უძლიერესიც) აღმოსავლეთ ევროპაში და ფიფა-მ უდიდესი შეცდომა დაუშვა, როცა იგი შესარჩევ ჯგუფში ინგლისელებთან ერთად „გაითესა".

პოლონელთათვის შესარჩევი ტურნირი წარუმატებლად, უელსთან წაგებით (0:2) დაიწყო. ისინი შინ დაჭრილ-დასახიჩრებული დაბრუნდნენ, მაგრამ კარგი გაკვეთილიც მიიღეს და მას შემდეგ მათი თამაშის შესახებ სხვა აზრი შეიქმნა. გუნდის ოსტატობა იგივე დარჩა, მაგრამ ათლეტიზმი მოემატა.

ჯერ პოლონეთის გუნდი კატოვიცეში ინგლისელებს შეხვდა. პოლონელები მშვენივრად თამაშობდნენ სქემით 4+3+3, რომლის დანიშნულებაც კონტრშეტევებით მოქმედებაა, შექმნეს რამდენიმე საგოლე მომენტი და გაიმარჯვეს — 2:0. პოლონელთა წარმატებაში წვლილი ინგლისელებმაც შეიტანეს: ისინი „უტევდნენ" 4+4+2 სქემით, რომლის დანიშნულებაც დაცვაა.

მაგრამ პოლონელებს ეს გამარჯვება ძალიან ძვირად დაუჯდათ — ლიუბანსკის მარჯვენა მუხლი დაუშავდა და მინდვრიდან გაიტანეს. შემდეგ პოლონეთმა უიმისოდ გააგრძელა ფინალის საგზურისთვის ბრძოლა. შარშან ზაფხულში ლიუბანსკის ოპერაცია გაუკეთეს, მაგრამ დაბრუნდა თუ არა „გურნიკში", კვლავ დაშავდა და ხელმეორე ოპერაცია დასჭირდა. ასე რომ, მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში იგი მონაწილეობას ვერ მიიღებს.

მაგრამ ამ დროს გუნდს ბედმაც გაუღიმა და გურსკიმაც რამდენიმე ჭკვიანური შეცვლა მოახდინა. არცთუ ცნობილი მიელეცის „სტალი" ქვეყნის ჩემპიონი გახდა. ამ გუნდის მოთამაშეებმა ლატომ, კასპერჩაკმა და დომარსკიმ ყურადღება მიიქციეს.

გრჟეგოჟ ლატო, „სტალის" ცენტრფორვარდი, იმ სეზონში ქვეყნის საუკეთესო ბომბარდირი გახდა. იგი ძალიან სწრაფი და აგრესიულია, ახალგაზრდულ (23 წლის ასაკამდე) ნაკრებში წარმატებით თამაშობდა მარჯვენა გარემარბის ადგილზე, ხოლო შესარჩევი ტურნირის დარჩენილ თამაშებში ეროვნულ გუნდსაც შეუერთდა.

დომარსკი უწინაც გამოსულა ნაკრების შემადგენლობაში, მაგრამ ახლა ადგილი ლიუბანსკის არყოფნის გამო მიიღო, კასპერჩაკმა კი ბოლო დროს ძალიან უმატა თამაშს.

ამის შემდეგ პოლონეთი ხორჟუვში უელსის ნაკრებს შეხვდა, კარგად გაუმკლავდა მკაცრ დაცვას და გაიმარჯვა — 3:0. ეს იყო უხეშობით სავსე შეხვედრა, რომელშიც ჰოკი მინდვრიდან გააძევეს. მაგრამ პოლონელებმა მაინც დაამტკიცეს, რომ უხეშ გუნდებთანაც შეუძლიათ თამაში. ახლა მათ ელოდათ გადამწყვეტი მატჩი „უემბლიზე", სადაც ფრეც ხელს აძლევდათ.

„უემბლიზე" ინგლისელები დიდი პრობლემის წინაშე დააყენა პოლონელთა წინა ხაზის სამეულმა: მარჯვნივ ლატომ, რომელიც სწრაფი „აფეთქებებით" გამოირჩეოდა, დომარსკიმ, რომელიც სულ ცდილობდა „გახსნილიყო" და გადაცემა მიეღო, მარცხნივ — გადოხამ, რომელიც ხშირად ნახევარმცველების დასახმარებლად უკან იხევდა. და პოლონეთმა მიაღწია სასურველ ფრეს.

ფინალურ ასპარეზობაში პოლონეთის ნაკრებს ბედმა უმტყუნა: კენჭისყრამ იგი ჯგუფში მოახვედრა იტალიისა და არგენტინის გუნდებთან ერთად, რომლებიც მას არასოდეს დაუმარცხებია.

ტერი ბაშელი.

* * *

### გუნდის შემადგენლობა

ძირითადი მოთამაშეები: იან ტომაშევსკი („ლოძი"), იეჟი გორგონი („გურნიკი", ზაბჟე), ანტონი შიმანოვსკი („ვისლა", კრაკოვი), მიროსლავ ბულზაცკი („ლოძი"), ადამ მუსიალი („ვისლა", კრაკოვი), ლესლავ ჩმიკევიჩი („ლეგია", ვარშავა), კაზიმეჟ დეინა („ლეგია", ვარშავა), ჰენრიკ კასპერჩაკი („სტალი", მიელეცი), გრჟეგოჟ ლატო („სტალი", მიელეცი), იან დომარსკი („სტალი", მიელეცი), რობერტ გადოხა („ლეგია", ვარშავა).

მათს გარდა გუნდში არიან: მეკარე ზიგმუნტ კალინოვსკი („სლასკი"); მცველები: კშიშტოფ რუესნი („სტალი", მიელეცი), ზბიგნევ გუტი („ოდრა", ოპოლე), ჰენრიკ ვეჩორეკი („გურნიკი", ზაბჟე), იეჟი ვუროზვკი („რუხი", ხოჟუვი); ნახევარმცველები: იეჟი კრასკა („გვარდია", ვარშავა), ზიგმუნტ მაჟჩუკი („რუხი", ხოჟუვი), რიშარდ შარმაჩი („გვარდია", ვარშავა); თავდამსხმელები: ანჯეი შარმაჩი („გურნიკი", ზაბჟე), კაზიმეჟ კმეჩიკი („გურნიკი", ზაბჟე), ბოგდან მასტალერი („გვარდია", ვარშავა).

(„მორნინგ სტარი", ლონდონი).

## როუზი — „თამაშგარე მდგომარეობაში"

**მაინის ფრანკფურტი, 11 ივნისი.** ფეხბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტად არჩეულია 58 წლის ჟოაო აველანჟი (ბრაზილია). ამ ქალაქში მსოფლიო ჩემპიონატის წინ მოწყობილ ფიფა-ს კონგრესზე მას ხმა მისცა დელეგატთა უმრავლესობამ.

აველანჟმა, ბრაზილიის სპორტის კონფედერაციის პრეზიდენტმა, როცა ფიფა-ს მეთაურის პოსტზე თავისი კანდიდატურა წამოაყენა, წარმოადგინა მომავალი მუშაობის პროგრამაც, რომელშიც ფედერაციის რეორგანიზაციაც შედიოდა. ესაა პირველ ყოვლისა ჩემპიონატის ფინალისტი გუნდების რიცხვის გაზრდა საბოლოო ანგარიშში ოცდათოთხამდე, ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატების ჩატარება 20 წლამდე ასაკის ჭაბუკებისთვის ოთხ წელიწადში ერთხელ, საკონტინენტთაშორისო თასის დაწესება, მატერიალური დახმარება განვითარებადი ქვეყნების ეროვნული ფედერაციებისადმი და, დასასრულ, ცვლილებების შეტანა თვით ფიფა-ს სტრუქტურაში.

ფიფა-ს პრეზიდენტის პოსტზე მეორე კანდიდატი იყო სტენლი როუზი (ინგლისი), რომელიც 1961 წლიდან უდგას სათავეში ამ ფედერაციას. მისი მარცხი შემთხვევითი როდია. როუზმა იმით „გამოიჩინა თავი", რომ სურდა ფიფა თავის სამემკვიდრეო ადგილ-მამულად ექცია, სადაც მფარველობას გაუწევდა ნაკრები გუნდების მხოლოდ გარკვეულ ჯგუფს, გავლენას მოახდენდა საპასუხისმგებლო მატჩების მსაჯებზე და ასპარეზზე შეიქმნიდა სხვა ამგვარი მაქინაციებისთვის. მაგრამ როუზს საბოლოოდ მაშინ მოეჭრა თავი, როცა დახმარება გაუწია ჩილის ფაშისტურ ხუნტას, რომელმაც ეს ქვეყანა პატრიოტთა სისხლით მორწყო. როგორც ცნობილია, ფიფა-ს ყოფილმა პრეზიდენტმა და მისმა დამქაშებმა ჩილის გუნდის სასარგებლოდ საბჭოთა ნაკრებს უარი უთხრეს ფინალის საგზურისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებაზე.

ახალი პრეზიდენტის პროგრამამ ფიფა-ს წევრთა მხარდაჭერა პოვა. უკვე შემდეგი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით სტადიაში მონაწილეთა რიცხვი ოთხით მეტი იქნება. დრო გვიჩვენებს, განხორციელდება თუ არა ფიფა-ში უკვე მომწიფებული ცვლილებები.

საჯელი [illegible]




◆ მსოფლიო ჩემპიონატის რადიო-ტელეტექნიკურმა სამსახურმა დაამთავრა ყველა სამუშაო, მოწყობილობის შემოწმება და კონტროლი და ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ფინალური გათამაშების ყველა მატჩს ფირზე გადაიღებს.

რადიო-ტელეცენტრი განლაგებულია მაინის ფრანკფურტში, სადაც მიიღებენ ყველა მატჩს სტადიონებიდან. აქედან მოხდება მათი რეტრანსლაცია. რთული პროცესები მთლიანად ავტომატიზებულია და საკმარისია ოპერატორმა თითი დააჭიროს ღილაკს, ხაზზე წამსვე ჩაერთვება ბუენოს-აირესი, სიდნეი თუ კინშასა.

ტელეგადაცემათა უფლებისთვის ფიფა-მ უკვე მიიღო 17 მილიონი დასავლეთგერმანული მარკა. პირდაპირი ტრანსლაცია დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის საშუალებით ღირს 20000 დოლარი.

◆ ინგლისის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ა. რამსეიმ ხელი მოაწერა კონტრაქტს თანამშრომლობაზე სატელევიზიო კომპანიასთან „ბრიტიშ ტელევიჟნ კომპანი". იგი კომენტარებს გაუკეთებს ჩემპიონატის მატჩებს დასავლეთ გერმანიიდან.

◆ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტში დადგინდა, რა ფერის ფორმებით ითამაშებენ გუნდები. იუგოსლაველები გათამაშების გახსნის დღეს ბრაზილიის ნაკრებთან შესახვედრად გამოვლენ ცისფერი მაისურებით, თეთრი ტრუსებითა და წითელი გეტრებით, ბრაზილიელები — თავიანთი ტრადიციული ფორმით — მუქყვითელი მაისურებით, ცისფერი ტრუსებითა და თეთრი გეტრებით.

ჩემპიონატის მასპინძლები — გფრ-ის ფეხბურთელები თავიანთს პირველ მატჩში ჩილის გუნდთან გამოვლენ ახალი ფორმით — მწვანე მაისურებით, თეთრი ტრუსებითა და შავი გეტრებით.

◆ დასავლეთგერმანელი ჟურნალისტები განაგრძობენ საპროგნოზო გამოკითხვებს. გფრ-ის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ზ. ჰერბერგერმა, რომლის ხელმძღვანელობითაც გერმანელებმა 1954 წელს მსოფლიო ჩემპიონობა მოიპოვეს, თქვა: „ჰაიტის, ავსტრალიისა და ზაირის გარდა ყველა გუნდს აქვს ფინალში გასვლის შანსი".

ნაკრების მოთამაშე ჰ. კრემერსი უფრო კონკრეტულია: „ოთხეულში გავლენ ბრაზილია, იტალია, გფრ და იუგოსლავია".

ჟურნალისტებს ინტერვიუ მისცა გფრ-ის ყოფილმა კანცლერმა ვ. ბრანდტმაც: „უპირველეს ყოვლისა მსურს ჩემპიონატმა ჩაიაროს ნამდვილი სპორტული სულისკვეთებით და სტუმრებს კარგი მასპინძლობა ჰქონდეთ. პროგნოზი პროგნოზად, და ძალიან მინდა მსოფლიო ჩემპიონები ჩვენი ფეხბურთელები გახდნენ".

როცა შეაგროვეს ანკეტები, ყველაზე მეტი ხმა აღმოაჩნდა გფრ-ის ნაკრებს — 25. შერე მოდიან: იტალია — 13, ბრაზილია — 8, შოტლანდია — 2. თითო ხმა აქვთ ჰოლანდიას, გდრ-სა და იუგოსლავიას.

# ისტორიიდან

## დაუოკიდებელი ბრაზილია

(1958 წ. სტოკჰოლმი, ფინალური მატჩის მთავარი მსაჯი მორის გიგე, საფრანგეთი)

## ბრაზილია — შვეცია 5:2

მეექვსე ჩემპიონატიც ევროპაში ჩატარდა. საფეხბურთო ბატალიების სარბიელი იყო შვეცია, რომელმაც ფინალური ტურნირის ყველა მონაწილეს იდეალური პირობები შეუქმნა. ოქროს ქალღმერთ ნიკესთვის ბრძოლა ამ ქვეყნის 12 ქალაქის სტადიონებზე გაჩაღდა. ფინალური მატჩი შვედური ფეხბურთის დიდ ზეიმად იქცა. პირველობის გადამწყვეტ შეხვედრაში ფეხბურთის ჯადოქართა — ბრაზილიელთა წინაამდეგ სწორედ შვედები გამოვიდნენ. საერთოდ, ეს ჩემპიონატი ბრაზილიელებისთვისაც მნიშვნელოვანი იყო, ვინაიდან საერთაშორისო სარბიელზე პირველად სწორედ აქ გამობრწყინდა ფეხბურთის უბადლო ნიჭით დაჯილდოებული პელე.

სტოკჰოლმის ცნობილ სტადიონ „როსუნდაზე" თავი მოიყარა 40 ათასმა მაყურებელმა. ისინი მატჩს არაჩვეულებრივი მღელვარებით მოელოდნენ და შეხვედრის მე-4 წუთზე, როცა შვეციის ნაკრების კაპიტანმა ლიდჰოლმმა პირველი ბურთი გაიტანა ჟილმარის კარში, მთელი სტადიონი აუწერელმა აღტაცებამ შეიპყრო.

შეძლებენ კი შვედები სენსაციის მოხდენას ფინალშიც?

მაგრამ მათს იმედებს დიდი დღე არ ეწერა. უკვე რამდენიმე წუთის შემდეგ მარჯვენა ფრთაზე გარინჩას შესანიშნავი გასვლის შემდეგ ვავამ გაათანაბრა ანგარიში. 31-ე წუთზე იგივე გამეორდა — იდეალური გადაცემა ფლანგიდან და ვავამ ანგარიში გაზარდა — 2:1.

მეორე ტაიმში ბრაზილიელთა უპირატესობა უფრო გამოიკვეთა, მასპინძელთა კარი ჯერ მარცხენა გარემარბმა ზაგალომ აიღო, ხოლო შემდეგ პელემ კიდევ ორი გოლი გაიტანა. ბრაზილიელთა გოლების „კონცერტს" შვედებმა სიმონსონის ბურთით უპასუხეს. ბრაზილიელებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს (5:2), პირველად მოიპოვეს მსოფლიო ჩემპიონობა და რიმეს თასი რვა წლის შემდეგ ისევ სამხრეთ ამერიკას დაუბრუნეს...

ასეთი ანგარიშის მიუხედავად, მთელი თამაშის მანძილზე შვედი მაყურებელი აღტაცებული იყო მატჩის მაღალი დონით. ბედნიერებით გაოგნებულმა ბრაზილიელებმა კი აღარ იცოდნენ, როგორ მოქცეულიყვნენ, გამარჯვება ბავშვებივით უხაროდათ და ზოგიერთი მათგანი, მათ შორის პელეც, ტიროდა... როცა დაწყნარდნენ, ხელი სტაცეს ჟიულ რიმეს თასს, გაშალეს შვეციის ეროვნული დროშა და მაყურებელთა ტაშის გრიალში სტადიონზე გამარჯვების საპატიო წრე შემოიარეს.

ფინალური მატჩის მსაჯი იყო ფრანგი მორის გიგე.

„ვინ არის ეს გიგე? ამ მსაჯზე დღემდე არაფერი გაგვიგია. მისი სახელი ჩვენთვის უცნობი იყო!" — წერდნენ შვეციის გაზეთები ბრაზილია — ავსტრიისა და ბრაზილია — სსრ კავშირის მატჩების შემდეგ, რომელთა ჩატარებაც გიგეს ჰქონდა დავალებული. თუმცა, აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ჟურნალისტები ფრანგი არბიტრის მიმართ სამართლიანიც იყვნენ და ქებას არ იშურებდნენ მისთვის. ხოტბით აღსავსე სტრიქონებს შორის განსაკუთრებით საინტერესო იყო ეს სიტყვები: „მსოფლიო ჩემპიონატის ახალი ვარსკვლავი... მოხარული ვიქნებოდით, თუ ამ მსაჯს ფინალურ მატჩშიც ვიხილავთ!".

შვედ და უცხოელ ჟურნალისტებს სურდათ ფრანგ მსაჯზე რაც შეიძლება მეტი გაეგოთ, მაგრამ გიგე საკმაოდ თავშეკავებული აღმოჩნდა, რაც კალმის ოსტატებს მაინც და მაინც არ მოსწონდათ. მიუხედავად ამისა, ჟურნალისტებმა გიგეს მაინც „დასტყუეს" ზოგიერთი რამ, სახელდობრ ის, რომ მსოფლიო ჩემპიონატამდე მას ჩატარებული ჰქონდა მხოლოდ შვიდი საერთაშორისო შეხვედრა, იყო 46 წლისა და ყველაზე უფროსი მსოფლიო პირველობაზე მიწვეულ მსაჯებში...

მორის გიგე ხჯიდა ამავე ჩემპიონატის ერთ-ერთ მატჩს — ჩეხოსლოვაკიისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გუნდებს შორის. ამ შეხვედრაში მან მინდვრიდან გააძევა ჩეხოსლოვაკიელი ბუბერნიკი, რომელიც „თავის ტყავში ვერ ეტეოდა". შვედი ჟურნალისტები მოწონებით შეხვდნენ ფრანგი მსაჯის გაბედულ, კანონიერ ნაბიჯს... მათ აღიარეს გიგე და ავტორიტეტულად წერდნენ მასზე: „ჩამოვიდა შვეციაში და გვიჩვენა მსაჯის მაღალი ხელოვნება".

ასეთმა ქება-დიდებამ გიგეც მოალბო და მან ჟურნალისტებს გაანდო თუმცა არასპორტული და „შინაურული", მაგრამ მაინც საინტერესო „საიდუმლო": „ბატონებო, შეიძლება არც კი დამიჯეროთ — შვეციაში გამოსამგზავრებლად აუცილებლად ხელზე უნდა მქონოდა საფრანგეთის თავდაცვის სამინისტროს ნებართვა. მე ხომ პოლიციელად ვმუშაობ მარსელში და, თუ შვეციაში ასეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტის გარეშე ჩამოვიდოდი, ეს კანონის დარღვევა იქნებოდა".

თვით ჩემპიონატის შესახებ მორის გიგე გვიამბობს:

„მთელი საფეხბურთო სამყარო მოუთმენლად ელოდა შვეციისა და ბრაზილიის გუნდების მატჩს, მაგრამ არავინ იცოდა, მსაჯად ვის მიიწვევდნენ. როცა ფინალური შეხვედრის ჩატარება მე მომანდვეს, სიხარულის ცრემლები მომერია. რადიოს და ტელევიზიის გადაცემებში წამდაუწუმ ჩემს სახელსა და გვარს იმეორებდნენ, გაზეთები წერდნენ ჩემს კარიერაზე, ბეჭდავდნენ ჩემს პორტრეტებს... მაგრამ ყველაზე დიდი სიხარული მომანიჭა ჩემი ოჯახის დეპეშამ: „ჩვენ ბედნიერები ვართ და ვამაყობთ შენით. გისურვებთ საპასუხისმგებლო როლის წარმატებით დაძლევას".

მაგრამ ზოგიერთი ჟურნალისტი მაინც ვერ შეეგუა იმ აზრს, რომ ფინალური შეხვედრისთვის აირჩიეს მსაჯი, რომელსაც საერთოდ ძალიან ცოტა მატჩი ჰქონდა ჩატარებული საერთაშორისო დონეზე. მე მათ ვუამბე ეზოპეს იგავი ლომზე და თაგვზე. ოღონდ ამას ქედმაღლობაში ნუ ჩამომართმევთ. მართალია, ბევრ მატჩში არ მიმსაჯია, მაგრამ ყოველი შეხვედრა ჩემთვის მნიშვნელოვანი იყო.

მეკითხებოდნენ, ფინალური შეხვედრის წინ ხომ არ აღელდებითო. მე ვეუბნებოდი, არა-მეთქი. ჩვენთვის, მსაჯებისთვის, ყველა მატჩი ერთი და იგივეა. უფრო მეტიც, იმასაც კი ვფიქრობდი, რომ პირადად ჩემთვის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი უფრო იოლი და სასიამოვნო ჩასატარებელი იქნებოდა, ვიდრე, თუ გნებავთ, „სენტ-ეტიენისა" და „ნიცის" მატჩი ჩემი ქვეყნის პირველობაზე.

ასე ვფიქრობდი და ალბათ მართალიც ვიყავი, რადგან ბრაზილია — შვეციის მატჩის შემდეგ ფეხბურთელებთან ერთად მეც მილოცავდნენ გამარჯვებას, მათთან ერთად ტაშით მეც დამაჯილდოვეს. ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა თავიანთი მადლიერება იმით გამოხატეს, რომ ერთი თვით თავიანთ ქვეყანაში მიმიწვიეს. ბრაზილიაში ყველგან სამაგალითო მზრუნველობას ვგრძნობდი. მთხოვეს მემსაჯა, როგორც თვითონ დამიხასიათეს, ერთ მეტად თავსატეხ მატჩში — „ფლამენგოს" და „ბოტაფოგოს" გუნდების შეხვედრაში... თამაშის შემდეგ მაყურებლებმა ისეთი ოვაცია გამიმართეს, იძულებული გავხდი საპატიო წრე შემომევლო... ჯერ კიდევ გასახდელში ჩასვლამდე შემომთავაზეს ახალი ხელსაყრელი წინადადება, რომ გამეგრძელებინა ჩემი კარიერა ბრაზილიაში. მე თავაზიანად უარვყავი ეს წინადადება: „გმადლობთ, მაგრამ დარჩენა არ შემიძლია. ოჯახის პატრონი ვარ, ჩემი ძირითადი სამსახური მიცდის. თანაც ვშიშობ, რომ დავრჩე, ვაითუ მუდამ ტაშითა და ოვაციით აღარ გამაცილონ მინდვრიდან. რას იზამ, ასეთია ჩვენი, მსაჯების ხვედრი".



სურათზე: მატჩის წინ ერთმანეთს [illegible] (მარცხნიდან) [illegible] (ბრაზილია). შუაში მთავარი მსაჯი მორის გიგე (საფრანგეთი), მარჯვნივ — [illegible] (შვეცია).

WM 74

## როგორი იქნება გახსნა

დღეს მაინის ფრანკფურტში ოფიციალურად [illegible] ფეხბურთელთა X მსოფლიო ჩემპიონატი. მაყურებლებს, ფეხბურთელებსა და საპატიო სტუმრებს სიტყვებით მიმართავენ ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, ფიფა-ს პრეზიდენტი და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პრეზიდენტი.

ამის შემდეგ გაიმართება ფინალური თამაშების მონაწილე 16 ქვეყნის წარმომადგენელთა კონცერტი. ჩემპიონატის გახსნის მთავარი რეჟისორის დიტერ პრეტელის ცნობით, მსახიობთა გამოსვლა გაგრძელდება ზუსტად 90 წუთს, ესე იგი, იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც გრძელდება საფეხბურთო მატჩი.

ფეხბურთი

### საქართველოს ჩემპიონატი

გაიმართა მორიგი შეხვედრები.

#### პირველი ჯგუფი

● „სალხინო" (გეგეჭკორი) — „ივერია" (ხაშური) 5:2. მსაჯი ა. მჭედლიძე (თბილისი).

გეგეჭკორელი ფეხბურთელები წარმატებით ატარებენ ბოლო მატჩებს. ამჯერადაც ასე იყო: „სალხინომ" მონდომებით, ენერგიულად ითამაშა და დამსახურებულადაც გაიმარჯვა.

● „ამირანი" (ოჩამჩირე) — „მეტალურგი" (რუსთავი) 1:1. მსაჯი ლ. ლონლაძე (თბილისი).

მეტალურგებმა პირველივე წუთებზე გაუშვეს გოლი თავიანთ კარში და მერე მატჩის ბოლომდე მოუნდნენ ანგარიშის გაქვითვას. 84-ე წუთზე „ამირანის" კარში დაინიშნა პენალტი, რომელიც ზუსტად გამოიყენა მიქაშავიძემ.

● ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „განთიადი" (თბილისი) 0:0. მსაჯი ო. ჯებაშვილი (რუსთავი).

წესრიგის დარღვევისთვის გაფრთხილებული არიან ო. გიგოლაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი) და ე. გუგუშვილი („განთიადი").

● „მაღაროელი" (ჭიათურა) — „ქართლი" (გორის რაიონი) 4:0. მსაჯი თ. კალანდაძე (თბილისი).

მასპინძლებმა კვლავ საუცხოოდ ითამაშეს და თავიდანვე დიდ უპირატესობას მიაღწიეს. ბურთები გაიტანეს კენჭაძემ (2), კაციტაძემ და შელიამ.

● „კახეთი" (თელავი) — „ეგრისი" (ცხაკაია) 2:2. მსაჯი ე. ჩიფჩიაური (თბილისი).

გვერდითს მსაჯთან კამათისთვის გაფრთხილებულია თელაველი ი. ხირაძე, ხოლო ცხაკაიელი ო. ქაჩიბაია მინდვრიდან გააძევეს.

● „ვარძია" (ასპინძა) — „კოლხეთი" (ხობი) 1:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).

„ვარძიის" მცველის შეცდომა 52-ე წუთზე კარგად გამოიყენა ჯოჯუამ და ანგარიში გახსნა. საპასუხო გოლის გატანა მასპინძლებმა შეძლეს მხოლოდ 89-ე წუთზე (მეფარიძე).

● „დინამო" (სოხუმი) — „სპარტაკი" (ცხინვალი) 1:0. მსაჯი ვ. გავრილოვი (თბილისი).

დინამოელებმა თითქმის მთელი თამაში მეტოქის ნახევარზე ჩაატარეს, გამარჯვებას კი მხოლოდ მინიმალური ანგარიშით მიაღწიეს. ეს ბურთი მე-60 წუთზე გაიტანა ხარტაკოპულომ.

● „სულორი" (ვანი) — „მეტალურგი" (ზესტაფონი) 1:4. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ზესტაფონელები ჯერ კიდევ შესვენებამდე დაწინაურდნენ (2:1), შემდეგ კი ბოჭორიშვილმა კიდევ უფრო გაზარდა ანგარიშში სხვაობა.

● „ლოკომოტივი" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 3:0. მსაჯი მ ნადიროვი (რუსთავი).

უშედეგოდ დამთავრებული ტაიმის შემდეგ ლოკომოტიველებმა უმატეს ტემპს, მთლიანად ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და გაიმარჯვეს კიდეც (გოლები — ხაჩატურიანი, აბაშიძე, დარახველიძე).

● „განთიადი" (თბილისი) — „შუქურა" (ქობულეთი) 1:1. მსაჯი თ. სადილიანი (თბილისი).

ორივე ბურთი მატჩის ბოლო წუთებზე გავიდა. ანგარიში გახსნა განთიადელმა კირაკოსიანმა, რასაც მაშინვე მოჰყვა მახარაძის საპასუხო ბურთი.

ქობულეთელი ა. გორგილაძე გაფრთხილებულია წესრიგის დარღვევისთვის.

* * *

ჩემპიონატის სნაიპერთა სიას 9-ჩ გოლით ლიდერობენ დ. დარჯანია (ასკ, თბილისი) და რ. ცირეკიძე („კახეთი", თელავი).

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 13 | 9 | 4 | 0 | 23—9 | 22 |
| „ლოკომოტივი" | 13 | 8 | 3 | 2 | 25—14 | 19 |
| „სალხინო" | 13 | 5 | 8 | 0 | 20—9 | 18 |
| „მეტალურგი" (ზესტაფონი) | 12 | 7 | 3 | 2 | 21—9 | 17 |
| ასკ (თბილისი) | 11 | 6 | 4 | 1 | 26—7 | 16 |
| „მაღაროელი" | 12 | 7 | 2 | 3 | 19—6 | 16 |
| „დინამო" | 13 | 5 | 5 | 3 | 21—11 | 15 |
| ფიზკ. ინსტ. | 13 | 5 | 5 | 3 | 20—16 | 15 |
| „კახეთი" | 13 | 6 | 3 | 4 | 23—21 | 15 |
| „კოლხეთი" | 12 | 4 | 5 | 3 | 15—13 | 13 |
| „ამირანი" | 13 | 5 | 3 | 5 | 15—14 | 13 |
| „ეგრისი" | 13 | 4 | 5 | 4 | 11—12 | 13 |
| „შუქურა" | 14 | 4 | 5 | 5 | 11—14 | 13 |
| „განთიადი" | 14 | 2 | 6 | 6 | 17—19 | 10 |
| „მეშახტე" | 12 | 3 | 2 | 7 | 14—24 | 8 |
| „ქართლი" | 13 | 3 | 2 | 8 | 18—28 | 8 |
| „ვარძია" | 13 | 3 | 2 | 8 | 12—25 | 8 |
| „სპარტაკი" | 13 | 2 | 3 | 8 | 12—23 | 7 |
| „სულორი" | 13 | 2 | 2 | 9 | 9—37 | 6 |
| „ივერია" | 13 | 2 | 0 | 11 | 15—36 | 4 |

### სსრ კავშირის პირველობა

#### ფეხბურთის ქრონიკა

11 ივნისს მოსკოვში შედგა IX ტურის ბოლო მატჩი: „ტორპედო" — „შახტიორი".

ანგარიში გახსნა დონეცკელმა სტარუხინმა, მაგრამ ნიკონოვმა გაქვითა ეს გოლი, მერე კი ვენკოვმა გამარჯვება მოუტანა „ტორპედოს" — 2:1.

#### უმაღლესი ლიგა

#### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 13 ივნისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინამო" (კ.) | 9 | 5 | 3 | 1 | 12—6 | 13 |
| „ზენიტი" | 9 | 3 | 6 | 0 | 10—6 | 12 |
| „ქაირათი" | 9 | 4 | 3 | 2 | 17—11 | 11 |
| „დნეპრი" | 9 | 3 | 4 | 2 | 10—7 | 10 |
| ცსკა | 9 | 3 | 3 | 3 | 15—14 | 9 |
| „დინამო" (მ.) | 9 | 2 | 5 | 2 | 9—8 | 9 |
| „არარატი" | 9 | 3 | 3 | 3 | 8—8 | 9 |
| „ჩერნომორეცი" | 9 | 2 | 5 | 2 | 11—12 | 9 |
| „შახტიორი" | 9 | 3 | 3 | 3 | 8—9 | 9 |
| „ზარია" | 9 | 2 | 4 | 3 | 11—11 | 8 |
| „ფახტაქორი" | 9 | 2 | 4 | 3 | 12—13 | 8 |
| „კარპატი" | 9 | 2 | 4 | 3 | 9—10 | 8 |
| „სპარტაკი" | 8 | 2 | 3 | 3 | 5—7 | 7 |
| „ნისტრუ" | 9 | 2 | 3 | 4 | 9—12 | 7 |
| „ტორპედო" | 9 | 2 | 3 | 4 | 3—7 | 7 |
| „დინამო" (თბ.) | 8 | 1 | 4 | 3 | 4—12 | 6 |

## წერილი წერილს მოსდევს...

რედაქციაში კვლავ მოდის წერილების ნაკადი, სადაც ფეხბურთის მოყვარულნი უკმაყოფილებას გამოთქვამენ თბილისის „დინამოს" ცუდი თამაშისა და სატურნირო ცხრილში მისი უკიდურესად მძიმე მდგომარეობის გამო.

სულ ახლახან „ლელოში" დიდი კმაყოფილებით წავიკითხე მიმართვა სპორტსმენებისადმი, რომელსაც ხელს აწერდნენ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელები. იმედი მქონდა, რომ ამ შესანიშნავ ინიციატივას თბილისელი ფეხბურთელები საქმით განამტკიცებდნენ და წარმატებებს მიაღწევდნენ. მაგრამ ასე არ მოხდა, გუნდმა ვერ გაამართლა ნაკისრი ვალდებულებები.

იქნებ ახლა მაინც იზრუნონ დინამოელებმა არასახარბიელო მდგომარეობის გამოსწორებისთვის.

**ბ. ავალიშვილი.**

თბილისი.

* * *

როგორც გულშემატკივარს, არ შემიძლია ჩუმად ვიყო მაშინ, როცა ჩვენი საუკეთესო გუნდი გათამაშების ცხრილში ბოლო ადგილზეა. ვერავინ დამაჯერებს, რომ თბილისის „დინამოს" ფეხბურთელებს არ შესწევთ ძალა გამოასწორონ ჩამორჩენა და წინ წაიყვანონ გუნდი. რწმენა არავინ არ უნდა დაკარგოს. გათამაშების სამი მეოთხედი წინაა და იმედი მაქვს, დინამოელები თავს არ შეირცხვენენ.

**ე. კილასონია.**

ფოთი.

* * *

როცა თბილისის „დინამო" ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაიბარა, პრესაში გამოქვეყნდა ინტერვიუ, რომ გუნდში საჭიროა ცალკეული რგოლების დაკომპლექტება და შეთამაშება. აი, ახლა ხედავთ, თუ როგორ „დააკომპლექტეს" და „შეათამაშეს" ეს რგოლები მწვრთნელებმა. საპრიზო ადგილებზე ვინ ფიქრობს, როცა უმაღლესი ლიგიდან გასავარდნადაა საქმე.

თბილისელებმა დაკარგეს სისწრაფე, ტემპი, შეტევის უნარი. თავდასხმა მოკლებულია ყოველგვარ სიმწვავეს, ნახევარმცველები თამაშობენ სხვა რგოლებისგან იზოლირებულად, არ ჩანს რაიმე გეგმა, ტაქტიკური ნახაზი. ამ ჩამორჩენაში, ცხადია, დამნაშავენი არიან გუნდის ხელმძღვანელებიც და ცალკეული ფეხბურთელებიც.

სანამ გვიან არაა, საქმეს შველა უნდა.

**ქავჩაკიძე, მამისთვალოვი, სახტარაძე, ჯიშკარიანი, გიორგაძე, ხაჭაპურიძე,**
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის საპროექტო-ტექნიკური განყოფილების თანამშრომლები.

* * *

თბილისის „დინამოს" ყოველ მიღწევას თუ წარუმატებლობას თითოეული ჩვენგანი, ვისაც კი გული შესტკივა ქართული ფეხბურთისთვის, განსაკუთრებულად განიცდის.

სიტყვები არ მყოფნის უკმაყოფილების გამოსახატავად იმის გამო, რომ გუნდი, რომლის პოტენციური შესაძლებლობები, ჩემი აზრით, გაცილებით მეტია, იმ ადგილთან შედარებით, რომელიც მას სადღეისოდ უკავია, ასეთ მდგომარეობაშია ჩავარდნილი.

ფეხბურთის მოყვარულნი გაოცებული ვართ და ვკითხულობთ: რაშია საქმე, რამ გამოიწვია ჩვენი გუნდის ასეთი სწრაფი და მოულოდნელი რეგრესი?

**ჯ. წაქაძე.**

ზესტაფონი.

## „სიჭაბუკის თასი"

გაიმართა რესპუბლიკის ნორჩ ფეხბურთელთა მორიგი შეხვედრები „სიჭაბუკის თასზე".

თბილისის გუნდების — „დინამოს" და „ავაზას" შეხვედრაში წარმატება ხვდათ დინამოელებს — 4:1. ბათუმის „დინამომ" ანგარიშით 2:1 დაამარცხა ზუგდიდელი თანაკლუბელები, ხოლო გაგრის ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლის გუნდმა მოუგო ტყიბულის „მეშახტეს" — 4:0.

ახლა გათამაშებაში დადგა ნახევარფინალური ეტაპი. ერთმანეთს შეხვდებიან განათლების განყოფილება (თბილისი) — „დინამო" (თბილისი) და ახალგაზრდული საფეხბურთო სკოლა (გაგრა) — „დინამო" (ბათუმი).

# „ცის დიასახლისის" რეკორდები



მოსკოველი სვეტლანა სავიცკაია — მსოფლიოს 1970 წლის აბსოლუტური ჩემპიონი უმაღლეს პილოტაჟში, მრავალგზის მსოფლიო რეკორდსმენი საპარაშუტო სპორტში, ზებგერითს რეაქტიულ თვითმფრინავში „გადაჯდა" და იქაც ოთხი მსოფლიო მიღწევა დაამყარა. „ცის დიასახლისმა", როგორც სვეტლანას ჟურნალისტები ეძახიან, რეკორდები დაამყარა თვითმფრინავ ე-33-ით სწრაფასვლაში. 3000 მეტრ სიმაღლეზე იგი 1 წუთსა და 20 წამში ავიდა, 9000 მეტრზე — 1 წუთსა და 46 წამში, 12000 მეტრზე — 2 წუთსა და 35 წამში.

— სვეტლანა სავიცკაია ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელია საბჭოთა ახალგაზრდობისა, რომელიც სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობათა დაუფლებისკენ მიისწრაფვის, — უთხრა საქდესის კორესპონდენტს სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ, ავიაციის მარშალმა, სამგზის საბჭოთა კავშირის გმირმა ა. პოკრიშკინმა.

დიახ, ს. სავიცკაიას ბევრი სახელოვანი გამარჯვება აქვს მოპოვებული. 1965 წლის 24 იანვარს მეათეკლასელი მოსწავლე პირველად გადმოხტა პარაშუტით. ერთ წელსაც არ გაევლო, რომ სვეტლანამ რვა ამხანაგ ქალიშვილთან ერთად მსოფლიო რეკორდები დაამყარა ხტომაში: ღამით — 13901 მ სიმაღლიდან, დღისით — 13811 მეტრიდან — სტრატოსფეროდან. ცხრა სპორტსმენის კიდევ ერთი რეკორდი დღემდე ვერავინ გააუქმა: სავიცკაიამ და მისმა ამხანაგებმა 13716 მეტრი დაფარეს 14252 მეტრიდან დაცურებით ხტომისას თავისუფალი ვარდნით, პარაშუტის გაუხსნელად.

მერე იყო ინგლისის VI მსოფლიო ჩემპიონატი უმაღლეს პილოტაჟში, სადაც სვეტლანა ბრწყინვალედ გამოვიდა.

— საბჭოთა სპორტულ პილოტთა მომზადების კლასს მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში გამოუწვევია აღტაცება, — ამბობს უმაღლესი პილოტაჟის ოსტატთა საბჭოთა ნაკრების მოძღვარი, სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ქ. ნაჟმუდინოვი. — რაც შეეხება სვეტლანას, ხასიათის სიმტკიცითა და სიმამაცით იგი ნაკრების „ძველ მკვიდრებს" არ ჩამოუვარდება. ფრენის დროს სავიცკაია მუდამ ადვილად გამოირჩევა სხვებში — იგი იუველირის ოსტატობით მართავს „მანქანას".

და აი, ახლა სავიცკაია ახალ სიმაღლეებს აღწევს.

— მე ადვილად დავიმორჩილე ზებგერითი თვითმფრინავი. რა თქმა უნდა, ამაში დიდი დახმარება გამიწიეს ჩკალოვის სახელობის ცენტრალური აეროკლუბის მუშაკებმა, დოსააფის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებმა, საავიაციო მრეწველობის სამინისტროს თანამშრომლებმა, — თქვა ს. სავიცკაიამ 11 ივნისს დოსააფის ცენტრალურ კომიტეტში გამართულ პრეს-კონფერენციაზე.

ს უ რ ა თ ზ ე: ს. სავიცკაია.

მოსკოვი.

საქდესის მოხსენებისგან

# სტარტის მოლოდინში

კალათბურთელ ვაჟთა არც ერთი მსოფლიო ჩემპიონატის წინ არ ყოფილა სიტუაცია ისე ბუნდოვანი, როგორც წლეულს. თუ უწინ საპრიზო ადგილებისთვის მხოლოდ ოთხი გუნდი იბრძოდა (სსრ კავშირი, აშშ, იუგოსლავია, ბრაზილია) და არავის ეპარებოდა ეჭვი იმაში, რომ ამ ოთხეულის სიმყუდროვეს ვინმე დაარღვევდა, ახლა ფავორიტთა რიგები გაიზარდა პირველ ყოვლისა კუბისა და ჩემპიონატის ორგანიზატორის — პუერტო-რიკოს გუნდების ხარჯზე. ექვსი დაახლოებით ერთნაირი ძალის გუნდი იბრძოლებს ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის და ეს ბრძოლა უსათუოდ მძაფრი იქნება. ცხადია ისიც, რომ ახალი ჩემპიონი სწორედ ამ ექვსეულში უნდა ვეძებოთ.

სსრ კავშირის ნაკრების წარუმატებლობამ უნივერსიადაში და ევროპის ბოლო ჩემპიონატში მწვრთნელების (ვ. კონდრაშინი, ს. ბაშკინი) წინაშე რამდენიმე პრობლემა დააყენა. ერთ-ერთი მათგანია წინა ხაზის მოთამაშეთა შერჩევა. საბჭოთა ნაკრები ახლა ყველაზე მწვავედ განიცდის ტანმაღალი კალათბურთელების ნაკლებობას და ამიტომაც საკავშირო ჩემპიონატში განსაკუთრებული ყურადღებით სწორედ მათს თამაშს ადევნებდნენ თვალს. სანუგეშო, სამწუხაროდ, ვერაფერი აღმოაჩინეს. მეტნაკლებად დამაკმაყოფილებელი შთაბეჭდილება დატოვეს მოსკოვის დინამოელებმა ვ. ჟიგილიიმ (206 სმ, 20 წლის), ა. ხარჩენკოვმა (201 სმ, 19 წლის) და ლენინგრადის სპარტაკელმა ი. პავლოვმა (200 სმ, 22 წლის).

ბევრი ლაპარაკი იყო ახალგაზრდა ცენტრალურ თავდამსხმელ ვ. ტკაჩენკოს (კიევის „სტროიტელი") შესახებ, მაგრამ, როგორც ნაკრების ბოლო საკონტროლო თამაშებმა ცხადყო, მაღალი კლასის გუნდები ასეთი, ნაკლებად მოძრავი გიგანტების წინააღმდეგ ბრძოლას წარმატებით ართმევენ თავს და მინიმუმამდე დაჰყავთ მათი ფიზიკური უპირატესობა.

კალათბურთის სპეციალისტთა შორის გავრცელდა ხმა, თითქოს ნაკრებში დაბრუნებას აპირებს მ. პაულაუსკასი. რამდენად სწორია ეს ხმები, ძნელი სათქმელია, მაგრამ, თუ მწვრთნელები მართლაც აპირებენ მის დაყოლიებას, ჩანს, გუნდს მხოლოდ მაღალი ტანის კალათბურთელთა პრობლემა არა აქვს გადასაწყვეტი. პაულაუსკასი დიდი სპორტსმენია და მის ღირსებათა შორის ერთ-ერთი მთავარია ბრძოლის ჟინი, ის, რაც, სამწუხაროდ, ნაკრების ბევრ წევრს აკლია და ის, რითაც ასე გამოირჩეოდა, მაგალითად, ზ. საკანდელიძე (გაიხსენეთ ევროპის ჩემპიონატის ფინალური მატჩი ესენში, ან მიუნქენის ოლიმპიადის გადამწყვეტი შეხვედრა ამერიკელებთან).

ამას წინათ სსრ კავშირში ტურნე გამართა აშშ-ს ერთ-ერთმა (სტუდენტურმა) ნაკრებმა. ამერიკელები მსოფლიო ჩემპიონატების ან ოლიმპიური ტურნირების წინ ტრადიციულად გზავნიან გუნდებს სხვადასხვა ქვეყანაში, ამოწმებენ მათი მომზადების დონეს, არჩევენ კალათბურთელებს და მხოლოდ ამის შემდეგ ადგენენ ნაკრებს. საბჭოთა ქვეყანაში სტუმრად მყოფმა ამერიკელებმა ცხრა მატჩიდან (მოსკოვში, ლენინგრადში, რიგაში, ტალინსა და კიევში) ექვსი მოიგეს. შედეგით ისინი უკმაყოფილო არ უნდა იყვნენ, მით უმეტეს, რომ ნაკრები გუნდების დონეზე ერთი მატჩი წააგეს, მეორე კი მოიგეს.

ამერიკელებს ყველაზე მეტად გაუჭირდათ თამაში ლენინგრადში, სადაც ადგილობრივი „სპარტაკის" მოთამაშეებით დაკომპლექტებულმა ნაკრებმა სტუმრებს 18 ქულის სხვაობით სძლია. და მაინც, სსრ კავშირის ნაკრებთან მოგებულმა მატჩმა გუნდს ავტორიტეტი შეუნახა.

სტუმრებმა კარგად ითამაშეს თითქმის ყველა რგოლში, განსაკუთრებით კი — დაცვაში. მართალია, მათს ნაკრებში ვერ ნახავდით „კაშკაშა ვარსკვლავებს" (ისეთებს, როგორიც იყვნენ, ვთქვათ, ლუკასი, ჰოლდერსონი, ჰეივუდი, ტომსონი და სხვ.), მაგრამ გუნდის თამაში სავსებით შეესაბამებოდა თანამედროვე კალათბურთის დონეს. ცალკეულ სპორტსმენთაგან შეიძლება გამოვყოთ რობინსონი (9 მატჩში კოლექტივს 149 ქულა შესძინა) და უინტერსი (128 ქულა).

დაახლოებით ამავე პერიოდში აშშ-ს კიდევ ერთმა ნაკრებმა მონაწილეობა მიიღო რიო-დე-ჟანეიროს ტრადიციულ ტურნირში. ბრაზილიაში საასპარეზოდ, ამერიკელთა გარდა, ჩავიდნენ მსოფლიო ჩემპიონები — იუგოსლაველები და მექსიკელები. ოთხთა ტრადიციული ტურნირი იუგოსლავიის ნაკრებმა მოიგო (კაჩანოვიჩი, იელოვაცი, კნეჟევიჩი, ერკოვიჩი, კაპიჩიჩი, ჩოსიჩი, დელიბაშიჩი, პლეჩაში, მარკოვიჩი, დელიჩი), მაგრამ მარცხს ვერც ერთი მონაწილე ვერ გადაურჩა. იუგოსლაველებმა სძლიეს ბრაზილიელებს (82:71) და მექსიკელებს (91:72), მაგრამ ვერაფერი გააწყვეს ამერიკელებთან (70:74). თავის მხრივ ვერც აშშ-ს ნაკრები ამოვიდა წყლიდან მშრალი: ბრაზილიასთან წააგო — 86:103.

ადგილები საბოლოოდ ასე განაწილდა:

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| იუგოსლავია | 3 | 2 | 1 | 243:217 | 4 |
| ბრაზილია | 3 | 2 | 1 | 241:230 | 4 |
| აშშ | 3 | 2 | 1 | 258:256 | 4 |
| მექსიკა | 3 | 0 | 3 | 217:256 | 0 |

პუერტო-რიკოს მსოფლიო ჩემპიონატისთვის მზადება გრძელდება. ეს სამზადისი კიდევ ბევრ საინტერესო ტურნირსა და ამხანაგურ შეხვედრას გვპირდება.

ნ. ბუბუშვილი.



ცნობილმა პოლონელმა მოფარიკავემ ვლოძიმეჟ სტშიჟევსკიმ გამოიგონა ახალი თამაში რინგო, რაც ჩვენს ენაზე რგოლს ნიშნავს.

რინგო ფრენბურთს ჰგავს. ფრენბურთის სარბიელის მსგავს ნებისმიერ მოედანზე 220-240 სმ სიმაღლეზე გააბამენ თოკს და თამაშობენ. ერთმანეთის პირისპირ დგას თითო, ორ-ორი ან სამ-სამი მოთამაშე. ბურთის მაგივრად გამოყენებულია რეზინის რგოლი (წონა — 160-165 გრამი). თამაშის დროს რგოლს კი არ იგერიებენ, ცალი ხელით იჭერენ. როცა დაიჭერენ, იმავე ხელით ისვრიან მეტოქის მხარეს. რგოლს „აწვდიან" მოედნის გარედან — თითოეული გუნდი ხუთჯერ. თუ რგოლი ვერ დაიჭირე, ქულას აგებ. თამაში 15 ქულამდე გრძელდება.

პოლონეთში რინგო ძალიან გავრცელდა. რინგოს თამაშობენ სკოლებში. დაწესდა ვარშავის ჩემპიონატი.

ამას წინათ ვ. სტშიჟევსკი მოსკოვში იყო, შეხვდა ქალაქის ფიზკულტურელებს და უჩვენა, როგორ თამაშობენ რინგოს. ახალი თამაში ყველას მოეწონა.

* * *

ს უ რ ა თ ზ ე: რინგოს გამომგონებელი მოედანზე.

ვ. უნ და-სინის ფოტო (საქდესი).

## კალათბურთი

**ბუენოს-აირესი.** არგენტინისა და იტალიის ვაჟთა ეროვნული გუნდების ამასწინანდელი მატჩი მიზნად ისახავდა ძალთა შემოწმებას პუერტო-რიკოს მსოფლიო ჩემპიონატის წინ. მწვავე ბრძოლაში გაიმარჯვეს არგენტინელებმა—84:82. აღსანიშნავია, რომ პირველი ტაიმი იტალიელებმა 16 ქულით მოიგეს — 48:32.

**ჰალე.** უაღრესად დაძაბული გამოდგა გდრ-ისა და უნგრეთის ვაჟთა ნაკრები გუნდების შეხვედრა. გამარჯვებული თამაშის ბოლო წუთზე უნგრელთა კალათში დანიშნულმა ორმა საჯარიმო სროლამ გამოავლინა. მასპინძლებმა ორივე საჯარიმო ზუსტად გამოიყენეს და გაიმარჯვეს — 78:77 (36:36).

## ფრენბურთი

**მეხიკო.** ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციის განცხადებით, მსოფლიო ჩემპიონატში, რომელიც ოქტომბერში მექსიკის დედაქალაქში გაიმართება, მონაწილეობას მიიღებს ვაჟთა და ქალთა 48 კოლექტივი. შერჩევითი ტურნირები ექვს ქალაქში გაიმართება.

# ალმაფრენა

შარშან თბილისის სპორტის სასახლეში მინსკელმა ა. რომანკოვმა სსრ კავშირის თასი მოიპოვა რაპირით ფარიკაობაში. ეს ყველამ სენსაციად მიიჩნია. მაგრამ ჯერ კიდევ მაშინ აღნიშნა წარსულში მსოფლიოს ერთ-ერთმა სწორუპოვარმა მუშკეტერმა, ქვეყნის ნაკრების მწვრთნელმა მ. მიდლერმა: „რომანკოვის გამარჯვება სენსაციად არ მიმაჩნია. იგი ნიჭიერი, პერსპექტიული სპორტსმენია. ვფიქრობ, მის ტაქტიკურ აზროვნებას გამრავალფეროვნება სჭირდება, რის შემდეგაც ამ მოფარიკავეს ალბათ სულ მალე ნაკრებშიც ვიხილავთ".

მიდლერის წინასწარმეტყველება ახდა და შეიძლება უფრო სწრაფად, ვიდრე ამას თავად მწვრთნელი მოელოდა.

...გუშინწინ რომანკოვი მინსკის საკავშირო ჩემპიონატის საპატიო კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე კი არ ავიდა, აფრინდა. ეს გასაგებიცაა: მინსკელი მოფარიკავე პირველად გახდა ქვეყნის ჩემპიონი. ამ წარმატებისთვის 21 წლის რაპირისტს ძნელი გზის გავლა მოუხდა. ფინალის პირველივე ბრძოლაში მან სძლია მსოფლიოს ექს-ჩემპიონს, ლვოველ ვ. სტანკოვიჩს (5:3). მერე იოლად გაუსწორდა ლვოველ პ. კუჩერს, ხოლო შემდეგ ზედიზედ ფარ-ხმალი დააყრევინა სამ არმიელ რაპირისტს: მოსკოველ ა. ლიტოვს, გორკელ ვ. დენისოვსა და კიეველ ი. ჩიჟს.

II ადგილი სტანკოვიჩს ხვდა, III — კუჩერს.

რაპირისტ ქალთა გუნდურ შეჯიბრებაში გაიმარჯვეს დინამოელებმა. მათ ფინალში ანგარიშით 9:5 შეიარაღებული ძალების ნაკრებს სძლიეს.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).

მინსკი.

# კარგად დაიწყეს

**მოგილიოვი,** 12 ივნისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). აქ გამოვლინდნენ ჭადრაკში „მსოფლიო ჩემპიონთა პრიზის" საკავშირო გათამაშების ფინალისტები. აი, ისინიც: ნოვოსიბირსკის 47-ე, პლუნგეს (ლიტვა) 1-ლი, ლენინგრადის მე-11, რიგის 1-ლი, ჟიტომირის 25-ე საშუალო სკოლებისა და თბილისის 1-ლი ექსპერიმენტული სკოლის გუნდები.

გუშინწინ ფინალი დაიწყო. I ტურში თბილისელებმა სძლიეს ლენინგრადელ თანატოლებს (5:0), II ტურში კი აჯობეს უკრაინის გუნდს (4:1) და ლიდერებიც გახდნენ. II ადგილზეა რიგელთა კოლექტივი — 6 ქულა, III — პლუნგელთა გუნდი — 5,5.

ქების ღირსნი არიან თბილისელი მოსწავლეები თ. ებანოიძე და გ. ხომერიკი, რომლებმაც ნახევარფინალში ისახელეს თავი. პირველმა 6 ქულა მოაგროვა შვიდ შეხვედრაში, მეორემ — 5,5.

რ. თავარიანი,
რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# [illegible]-74

ტულა, 10 ივნისი. გუშინ ადგილობრივ ტრეკზე დამთავრდა ველოსიპედისტთა ტრადიციული საერთაშორისო შეჯიბრება „ტულის დიდ პრიზზე". სპრინტში შესანიშნავ წარმატებას მიაღწია კიშინიოველმა არმიელმა ა. იაბლუნოვსკიმ, რომელმაც გადამწყვეტ ორთაბრძოლაში სძლია „კოპენჰაგენის დიდი პრიზის" წლევანდელ მფლობელს, ხარკოველ ს. კრავცოვს. III ადგილი დაიკავა პ. აიჰშტადტმა (გდრ). 4 კილომეტრზე გამოდევნებით ინდივიდუალური რბოლა ტულის ტრეკის რეკორდით მოიგო ლენინგრადელმა სტუდენტმა, 20 წლის ვ. ოსოკინმა — 4.54,58. ფინალში მისი მეტოქე იყო ხარკოველი სტუდენტი, ასევე 20 წლის პ. გოლუბნიჩი — 5.04,07 (წინასწარ სერიაში — 4.55,83). 45 წრეზე ჯგუფური რბოლა მოიგო ა. სუდარჩიკოვმა, ხოლო სპრინტერთა რბოლა გამოთიშვით — 19 წლის აშხაბადელმა ვ. კუდრიაშოვმა. წყვილთა რბოლაში (120 წრე) გაიმარჯვა ჩეხოსლოვაკიის დუეტმა (მ. ნეკვაპილი და ი. ჰოლარი).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

თბილისი სპორტულ ბაზაზე

**მშვილდოსნობა.** „ლოკომოტივის" სტადიონი. 13-16 ივნისი. ამიერკავკასიის ქალაქების ნაკრები გუნდების მატჩი. დასაწყისი 11 ს.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 10663